

კოლექტი ცხუმ-ვერისი

2019-2020 წლის სამოქმედო გეგმის

შესრულების წლიური ანგარიში

ზუგდიდი

10.07.2020 წელი

სტრატეგიული მიზანი 1. მატერიალური რესურსების შევსება/განახლება სწავლის, სწავლების და პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად;		
სტრატეგიული ამოცანა	<p>1.1 დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად</p> <p>დარგობრივი კაბინეტების/ თეორიული სწავლების აუდიტორიების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება არის სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანა. შესაბამისად, ამ ამოცანის ფარგლებში აქტივობას წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა/სასწავლო ინვენტარის განახლება.</p>	შენიშვნა
აქტივობები	ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა /ინფრასტრუქტურის მოწყობა პროგრამების შესაბამისად	
ინდიკატორი	შეძენილი/განახლებული ინვენტარის რაოდენობა/მაჩვენებელი	
განხორციელების პერიოდი	2019 წლის დეკემბერი- 2020 წლის იანვარი	

შესრულების შედეგი	ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო ინვენტარი შექმნილია ელექტროტექნიკოსის ლაბორატორიისა და ქიმიურ-ტექნოლოგიური -ბიოლოგიური ლაბორატორიისათვის, ინვენტარით განახლებულია ინფორმაციული ტექნოლოგიის ლაბორატორია N9.	
--------------------------	---	--

სტრატეგიული ამოცანა	1.2. სასწავლო რესურსების შევსება/განახლება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდის განახლება წარმოადგენს სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას.	
აქტივობები	სახელმძღვანელოების შექმნა პროგრამების შესაბამისად / ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების გატარება	
ინდიკატორი	შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	
განხორციელების პერიოდი	2019 წლის ნოემბერ-დეკემბერი.	
შესრულების შედეგი	2020 წელს კოლექტმა მოიპოვა 2 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. ამ პროგრამებისთვის საჭირო გახდა წიგნადი ფონდის მნიშვნელოვანი განახლება. საანგარიშო პერიოდში, კოლექტმა დაიმატა ბეჭდური და ელექტრონული წიგნები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია საინვენტარო წიგნში და დატანილია ციფრულ მატარებლებზე.	
სტრატეგიული ამოცანა	1.3 ფინანსური მდგომარეობის ანალიზი	
აქტივობები	1.3.1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი	
ინდიკატორი	ფინანსური მდგომარეობისა და რისკების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია	

განხორციელების პერიოდი	2020 წლის მაისი-ივლისი	
პასუხისმგებელი	ფინანსური მენეჯერი	
თანაშემსრულებელი	დირექტორი	
შესრულების შედეგი	კოლეჯის ფინანსური მენეჯერის მიერ შესრულებულია ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და განერილია შესაძლო რისკები.	
სტრატეგიული ამოცანა	1.4 დანესეხულებში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა წარმოადგენს სტრატეგიულ ამოცანას საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით.	შენიშვნა
აქტივობები	ფლოუს სისტემის/ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა	
ინდიკატორი	შემუშავებული ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა	
განხორციელების პერიოდი	2019 წლის ოქტომბერი 2020 წლის ივლისი	
შესრულების შედეგი	აიპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასა და კოლეჯს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eFlow) განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, მიმწოდებლის სერვერზე განთავსება და მისი ადმინისტრირების მომსახურების შესყიდვა მომხმარებლისთვის (კოლეჯისთვის). განხორციელდა მომსახურების შესყიდვა 1 იუზერისთვის 1 წლის განმავლობაში.	

სტრატეგიული მიზანი 2	ადამიანური რესურსების (ადმინისტრაციული და პროფესიული განათლების მასწავლებელი) ორგანიზებული და ეფექტური განვითარება	შენიშვნა
სტრატეგიული ამოცანა	2.1. კოლეჯის კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად	

	პერსონალის თანამდებობებისთვის შესაბამისი სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის განსაზღვრული მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება/განახლება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.	
აქტივობები	ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა / პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევა	
ინდიკატორი	ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება, გაფორმებული ხელშეკრულებები .	
განხორციელების პერიოდი	2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერი	
შესრულების შედეგი	სტრუქტურული ერთეულის თითოეული პოზიციისთვის დირექტორის ბრძანებით (2020 წლის 20 ივლისის № 01-12 ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაოს აღწერის ახალი დოკუმენტი სტრუქტურაში მყოფი პერსონალისათვის. ორი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, საჭიროება დადგა ახალი კადრების მოზიდვის, რამაც განაპირობა ხელშეკრულებების გაფორმება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან .	
სტრატეგიული ამოცანა	2.2. პროგრამის განმახორციელებელი პირების / პროფესიული განათლების მასწავლებლების კონფერენციებში, ტრენინგებში მონაწილეობის უზრუნველყოფა	შენიშვნა
აქტივობები	პროფესიული განათლების მასწავლებლის კონფერენციების მონაწილეობა (კოლეჯში)/პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციებში/კოლეჯის ფარგლებში ტრენინგების ჩატარება/სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობა	
ინდიკატორი	ჩატარებული კონფერენციის ამსახველი დოკუმენტაცია, კოლეჯის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგის ამსახველი დოკუმენტაცია/მასალა.	
განხორციელების პერიოდი	2019 წლის სექტემბერი-2020 წლის სექტემბერი	

შესრულების შედეგი	<p>საანგარიშო პერიოდში მოდულის განმხორციელებლებისთვის, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით, სისტემატურად ხორციელდებოდა ინდივიდუალური კონსულტაციების განწევა. ასევე, განხორციელდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულთა განმხორციელებლებისთვის ტრენინგები, რომელი პროგრამების დამატებაც განხორციელდა 2020 წლის პირველ ნახევარში. ტრენინგის თემას წარმოადგენდა როგორც კალენდარული გეგმების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების თავისებურებების გაცნობა. მათ ასევე ელექტრონულ ფოსტაზე დაეგზავნათ კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების ინსტრუქციები.</p> <p>კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი სისტემატურად ღებულობდა მონაწილეობას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.</p> <p>იპიდემიოლოგიური სიტუაციის გართულების გამო კოლეჯმა ვერ განხორციელა დაგეგმილი აქტივობა, კერძოდ, პროფესიული განათლების მასწავლებლების კონფერენციებში მონაწილეობა.</p>	
სტრატეგიული ამოცანა	<p>2.3. ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა.</p> <p>პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევისთვის კითხვარების შემუშავება წარმოადგენს ადამიანური რესურსის /პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას.</p>	შენიშვნა
აქტივობები	ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა	
ინდიკატორი	პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები და ანგარიში	
განხორციელების პერიოდი	2019 -წლის სექტემბერი-დეკემბერი	
შესრულების შედეგი	შესრულებულია	

სტრატეგიული მიზანი 3 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა / სწავლება		
სტრატეგიული ამოცანა	3.1 პროფესიულ სტუდენტთა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა (კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, კონფერენციები)	შენიშვნა
აქტივობები	პროფესიულ სტუდენტთა კულტურული ღონისძიებების ჩატარება / პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება	
ინდიკატორი	განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ფოტო/ვიდეო მასალა	
განხორციელების პერიოდი	2019 წლის დეკემბერი	
შესრულების შედეგი	მხარდაჭერილია საახალწლო ღონისძიება აქტივობის ჩატარების დამადასტურებელი ფოტო მასალა და ნიუსი, რომლებიც განთავსებულია ვებ და ფეისბუქ გვერდებზე.	
სტრატეგიული ამოცანა	3.2. საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით სასწავლო პროცესის მონიტორინგის ორგანიზება	შენიშვნა
აქტივობები	პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა (ონლაინ კითხვარები) საკონტაქტო საათზე დასწრება სწავლის შედეგების შეფასების პროცესზე დასწრება პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა (ონლაინ კითხვარები) მოღვაწეების მიხედვით	
ინდიკატორი	საკონტაქტო საათზე დასწრების ოქმი, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრის ოქმი// სწავლის შედეგების შეფასების პროცესზე დასწრება	

განხორციელების პერიოდი	2019 წლის ოქტომბერი - 2020 წლის სექტემბერი
შესრულების შედეგი	შესრულებულია ნაწილობრივ/ არ შემუშავებულა ონლაინკითხვარები/ არ განხორციელებულა სწავლის შედეგების შეფასების პროცესზე დასწრება

სტრატეგიული ამოცანა	პროფესიული სტუდენტების საკონსულტაციო ცენტრის შექმნა , დასაქმების ხელშეწყობა
აქტივობები	საინფორმაციო გზავნილები /შეხვედრები დამსაქმებლებთან
ინდიკატორი	საკონსულტაციო ცენტრის მიერ განხორციელებული მუშაობის მასალა/დოკუმენტაცია, დასაქმებასთან დაკავშირებით ჩატარებულ დოკუმენტაცია, დასაქმებულ სტუდენტთა მაჩვენებელი
განხორციელების პერიოდი	2019 წლის ოქტომბერი - 2020 წლის სექტემბერი
შესრულების შედეგი	კოლეჯში რეგულარულად მიმდინარეობს პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალურად კონსულტაციების განწევა. ადმინისტრაციის წევრები ყოველდღიურ რეჟიმში ხვდებიან სტუდენტებს და უწევენ მათ კონსულტაციებს, მოქმედებს ფეისბუქის შეტყობინებების გვერდი. ინფორმაციის მიწოდება იმ ვაკანსიების შესახებ, რომელსაც კოლეჯი რეგულარულად ღებულობს ოფიციალური ფოსტით (მეილით), მიეწოდებათ უშუალოდ სტუდენტებს. ასევე, ინფორმაციის განთავსება ხდება საინფორმაციო დაფაზე. 2019 წლის-2020 წლის განმავლობაში მეილზე გამოგზავნილი სხვადასხვა დაწესებულებების ვაკანსიებზე ინფორმაცია მიეწოდათ საფინანსო სერვისებისა და ელექტრობის პროფესიულ სტუდენტებს. დაზუსტდა დასაქმებულ სტუდენტთა სტატისტიკა.
სტრატეგიული მიზანი 4. სწავლა /სწავლების პროცესის განვითარება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	
სტრატეგიული ამოცანა	მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა
აქტივობები	მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება, სასწავლო რესურსების, ტექნიკური აღჭურვილობის შექმნა, პროგრამის განმახორციელებელი პირების მოძიება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა ავტორიზაციისთვის, ცენტრში წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადება

ინდიკატორი	ადაპტირებული პროგრამები, სასწავლო რესურსები, ტექნიკური აღჭურვილობა, მომსახურების ხელშეკრულებები მოდულების განამხორციელებლებთან /პროგრამის/პროგრამების დამატების კითხვარი, პროგრამების კოორდინატორები, განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამების დამატების შესახებ. განაცხადი პროგრამების დამატების შესახებ.
განხორციელების პერიოდი	2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერი
შესრულების შედეგი	2019 წლის 8 ოქტომბერს (რეგისტრაციის N 1360041) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N 16 გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა დამატებით ორი საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (საათეთიაქო) და ელექტრობის განხორციელების უფლება.

სტრატეგიული ამოცანა	თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში 1
აქტივობები	სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის შექმნა სასწავლო პროცესის ეფექტური ადმინისტრირების მიზნით
ინდიკატორი	სოციალური მედიის გამოყენებით მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნა. / კომპიუტერი, პროექტორი, სასწავლო მასალები (ელ. ვერსიები)
განხორციელების პერიოდი	სასწავლო წელი
შესრულების შედეგი	შესრულებულია

სტრატეგიული ამოცანა	დანესებულების საიმიჯო ღონისძიებები	შენიშვნა
აქტივობები	კოლეჯის საპრეზენტაციო შეხვედრები კერძო სექტორთან და სკოლებში .	
ინდიკატორი	შეხვედრების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა /დასწრების ბლანკები.	
განხორციელების პერიოდი	სასწავლო წელი	
შესრულების შედეგი	ორგანიზებული იყო ონლაინ შეხვედრები საზოგადოება წითელი ჯვრის მიერ დაინტერესებულ პირებთან / იმართებოდა ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებულ პირებთან.	
სტრატეგიული მიზანი 5.	ახალი სტანდარტების შესაბამისად მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავება	შენიშვნა
სტრატეგიული ამოცანა	ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის პროფესიული სტუტენტებისა და პროფესიული მასწავლებლებისათვის, პარტნიორებისათვის საინფორმაციო/სამუშო შეხვედრების, ტრენინგების უზრუნველყოფა, ახალი დოკუმენტაციის შემუშავება,საჯაროობის უზრუნველყოფა.	
აქტივობები	განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია,	
ინდიკატორი	შეხვედრების დამადასტურებელი ხელმოწერის ფურცლები, ოქმებიდა სხვა	
განხორციელების პერიოდი	სასწავლო წელი	

შესრულების შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • ახალი სტანდარტების შესაბამისად შემუშავებულია და დანერგილია დანესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები; • დანესებულების დებულება • სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია; • სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი); • პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია; • პერსონალის სამუშაო აღწერილობები / საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები (მათ შორის პერსონალის მოზიდვის, შერჩევა/დანიშვნის პროცედურები); • მარეგულირებელი წესი/წესები (სწავლის შედეგების შეფასების სისტემა; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შერჩევისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები); • ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემების აღმწერი რეგულაციები; • ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა; • დანესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია; • სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია; • სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია; • ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; • საქმისწარმოების წესი; • საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის წესი; • საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; • პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
-------------------	--

შესრულების შედეგი	შესრულებულია
-------------------	--------------

სტრატეგიული ამოცანა	თვითშეფასება	შენიშვნა
აქტივობები	ახალი სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების განხორციელება	
ინდიკატორი	შევსებული თვითშეფასების კითხვარი	
განხორციელების პერიოდი	2020 წლის ივლისი	
შესრულების შედეგი	კოლექტი ცხუმ-ვერისის თვითშეფასების ანგარიში წარდგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 31 ივლისს	

სტრატეგიული მიზანი 6.	2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის შედეგა	შენიშვნა
აქტივობები	ერთწლიანი გეგმის ანგარიში	
ინდიკატორი	დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების მოსმენა, შედეგების შეჯერება	
განხორციელების პერიოდი	2020 წლის ივნის- ივლისი	

შესრულების შედეგი	შესრულებულია	
სტრატეგიული ამოცანა	ახალი გეგმის პროექტის შედგენა განხილვა, დამტკიცება	შენიშვნა
აქტივობები	სტრატეგიული მიზნების დასახვა/ანალიზი ახალი გეგმის პროექტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება	
ინდიკატორი	შეხვედრების ოქმები	
განხორციელების პერიოდი	2020 წლის ივლისი	
შესრულების შედეგი	შესრულებულია	